



გთავაზობთ ინტერვიუს დეკანოზ თამაზთან (ლომიძე), რომელიც 2005 წლიდან ქალაქ მიუნხენში, წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართულ ეკლესიაში მსახურობს. მას ინდივიდუალურ დამოკიდებულება აქვს არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით და საკუთარ პოზიციებს „ფეისბუქის“ დახმარებით საჯაროდაც ხშირად აფიქსირებს:

— ტრადიციებზე ორიენტირებული საზოგადოების ნაწილი აპროტესტებს საქართველოს დასავლურ მისნრა-ფებებს. ხშირად ევროპას გარყვნილსა თუ პოტენციურ გამრყვნელს უწოდებენ. ამბობენ, რომ მასთან ინტეგრაცია ჩვენი კულტურისთვის („ქართველობისთვის“) საფრთხეა. რეალურია ეს შიში თუ ეჭვები?

— იმედი მაქვს, ვიზალიბერალიზაცია, მეტ ადამიანს მისცემს საშუალებას იმოგზაუროს ევროპის ქეყყნებში, გა-იცნოს აქაური ცხოვრება, ტრადიციები, ნორმები და თავად დარწმუნდეს, რომ ის პოლიტიკოსები და სასულიერო პირები, ვინც ამ დეზინფორმაციას ავრცელებენ, ტყუიან. ერთხელ მა-ინც საკუთარი ფეხით უნდა გაიარონ ქართველებმა ევროპის ქალაქებისა თუ სოფლების ქუჩებში, შეიხედონ სასწავლო, სამედიცინო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში და დარწმუნდებიან, რომ ე.წ. ევროპიდან მომავალი გარყვნილების საფრთხე მიზანმიმართული, მზაკვრული დეზინფორმაცია, ან უცოდინარი ხალხის მონაგონია. ერთ-ერთი ჭორია, თითქოს ევროპა უგულვებელყოფს ოჯახს და ოჯახურ ტრადიციებს. ტყუილია! აქ, გერმანიაში, დიდ პატივს სცემენტ იჯახურ ტრა-დიციას, ოჯახთან აღნძშნავენ მნიშვნელოვან დღებს, ოჯახში ზრდიან ბავშვებს და უმრავლესობა გერმანელისა, მთელი სიცოცხლე კავშრის არ წყვეტს საკუთარ ოჯახთან. მეტიც, სამთავრობო დონეზეც ზრუნვავენ — ოჯახის, მოხუცებულთა, ქალთა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სწორედ ოჯახების შენარჩუნებისა და კეთილდღეობისთვის ფინანსდება ფედე-რალური ბიუჯეტიდან. ასევე ვრცელება ჭორი, თითქოს ევროპის სკოლებში პატარა ასაკიდან ასაწვისთვის შეუფერებელ სქესობრივ საკითხებს. უამრავი ბავშვი იზ-რდება გერმანიის ქართულ სამრევლოებში. არც მე და არც სხვა ქართველ მოძღვრებს არც ერთი მშობლისგან გვსწნია მსგავსი ფაქტის შესახებ. საიდან მოაქვთ ეს დეზინფორმაცია საქართველოში მოღვაწე ზოგ სასულიერო პირს, გაუგებარია. შეიძლება 1-2 შემთხვევა სადმე მოხდა, მაგრამ ეს არა ნორმა და ამაზე სახელმწიფო შესაბამის რეაგირებას ახდენს. განათლების სისტემა უმცაცრესად კონტროლდება და ბავშვთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე მმობლებს ინფორმაციას აწვდიან. ჩემი რჩევაა, ნუ დაუჯერებთ ნურავის პრმად, როცა ევროპის „გარყვნილების“ შესახებ გატყუებენ. თავად ნახეთ, ნაიკითხეთ, მიიღეთ მეტი იბიექტური ინფორმაცია და ისე შეაფასეთ ევროპის ავკარგიანობა.

— თქვენ, როგორც სასულიერო პირს, რა მიგაჩნიათ „ქართველობის“ საფრთხეედ?

— არ მიყვარს საფრთხეების გარეთ  
ძებნა. ყველა ადამიანი, საზოგადოება  
და ქვეყანაც, თავადაა ყველაზე დიდი  
საფრთხეც და ნარმატებაც საკუთარი  
თავისთვის. დღეს, ქართველობისთვის,  
ყველაზე დიდ საფრთხედ, საფრთხის  
სადღაც, გარეთ ძებნა მიმაჩნია. ჩვენ  
ამაყი ხალხი ვართ ძირითადად ემოციები  
გვმართავს, სპონტანურად ვცხოვრობთ და  
თან ეს მოგვწონს. გვგონია, ჩვენზე უკეთესი  
არავინაა. არ ვითვალისწინებთ ჩვენს  
სისუსტეებს, არცოდნას, გამოუცდელობას...  
ნინასწარ არ ვეგეგმავთ მიზანს, არც წარსულს  
ვაანალიზებთ, არ გამოგვაქვს დასკვნები  
და არ ვცდილობთ გამოსწორებას. მოკლედ,  
ქართველებს არ გვიყვარს ფიქრი და ანალიზი  
და ესაა უდიდესი საფრთხე.

გერმანულებს აქვთ ერთი შესანიშნავი და მისაბაძი თვისება: რაც უნდა უმნიშვნელო იყოს საქმე, დილადრიან შეიკრიბებიან, დასხვდებიან და 1, 2 შეიძლება 3 საათიც მშვიდად საუბრობენ, ნაბიჯ-ნაბიჯ, წინასწარ იხილავენ გასაკეთებელ საქმეს. შემდეგ, დაგეგმილად, საათივით აწყობილად მუშაობენ. შესაბამისად, შეცდომაც არ მოსდით და შედეგსაც აღნევენ. ეს გვჭირდება ჩვენს.

— არც ისე დღიდან ხენის წინ, თბილისში, ორი მოზარდითა-ნატოლებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს. თქვენი შეფასებით, რა იყო ამ ტრაგეტიის მთავარი მიზეზი?

— ამ ტრაგედიის მიზეზი კომპლექსურია და ამგვარი სა-

" ԿԱՌԵՐԵՑՈՒԹՅՈՒՆ " ԿՅԱՆՔ եղան  
ՍԱԳԻԾԵԿ, ՍԱԳԻԾԵՈՒ ՃՎՀՅՈՒ ԿԱՑԵՎ

# ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՌԱԴԱՐԱՆԻ ՎԵՐԱԲԵՐՅԱԼ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ



შინელება ერთ დღეში არ მწიფდება. ესასა ბავშვის აღზრდაში წლობით დაშვებული შეცდომებისა და უყურადღებობის ბრალი. დამნაშავეა სკოლაც და მასწავლებელიც, მშობელიც და ოჯახიც, გულგრილი საზოგადოებაც. გაუზავებელი ეკონო-მიკური გაჭირვებაცა მიზეზი, რომ ბავშვებს, მოზარდებს არ ეცევა სათანადო ყურადღება. მანიც მგონია, რომ ყველაზე მეტ დროს სკოლაში ატარებს ბავშვი და მისი ხასიათის ფორმირებაც უმეტესად სკოლას ხელენიფება. სკოლას, მხოლოდ ცალკეული საგნების სწავლება კი არა, ბავშვის პიროვნული ჩამოყალიბებაც უნდა ადარდებდეს და ევალებოდეს. გერმანიაში, ყოველი სემესტრის ბოლოს, ნიშნების ფურცელთან ერთად კლასის ხელმძღვანელი დიდი გულისყურით წერს მოსწავლის პიროვნული განვითარების დასკვნას, ალნერს მის უნარებს, მიდრეკილებებს, უპირატესობებს თუ ნაკლს... ეს ფიციალურად დაფიქსირებულია საბუთში. მას ეცნობა მშობელიც და სკოლაც. ანუ, ბავშვის პიროვნულ განვითარებას აკვირდებიან და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რეაგირებენ. ეს უმნიშვნელოვანებია. ვფიქრობ, სკოლაში, ბავშვებთან, როგორც პიროვნებებთან, მეტი მუშაობაა საჭირო. აუცილებელია მათ-თან შემცენებითი საუბარი სიცოცხლეზე, სიკვდილზე (თუნდაც მკვლელობაზე), სიკეთესა თუ ბოროტებაზე, თანაგრძნობაზე, სიყვარულზე... ეს გადამწყვეტია ბავშვის განვითარებისათვის, რადგან მშობლებს ან არ აქვთ ამისთვის დრო, ან არ იციან ეს საკითხები. თუმცა, იგავის არ იყოს — მნიშვნელოვანია ევგანს ვინ შეაბამს კატას! სწორედ ამისთვის გვჭირდება სახელმწიფოს ფინანსური თანადგომა, რომ დასაქმდნენ ისეთი კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც მთელ სულსა და გულს ჩადებენ ბავშვების პიროვნულ აღზრდაში და სწორად მიიტანენ ამ საკითხებს ბავშვებთან. შეიძლება ეს საათები განათლებულმა და კარგმა სასულიერო პირებმაც გადაიბარონ.

— ტრაგედიის ერთ-ერთ მიზეზად, ზოგმა „ქურდული მენტალიტეტი“ დაასახელა. დღევანდელ ახალგაზრდობა-შეიცავა ეს აწმობალორი?

— ახალგაზრდობა ირკეცლავს იმას, რასაც ხედავენ საზოგადოებაში. მათ ჯერ არ აქვთ საკუთარი მყარი ცნობიერება და ამიტომ ბაძავენ და ავლენენ იმას, რასაც გრძნობენ და ხედავენ. ეს უნდა გვესმოდეს ნათლად. კრიმინალური შენტალიტეტი ბაგრევებში, ჩვენი საზოგადოების კრიმინალური შენტალიტეტის ბრალია. თუ დღეს საზოგადოება აქტიურად თუ ჰასიურად სიმპატითაა განხყობილი „ქურდული მენტალიტეტის“ მიმართ, თუ უკლებლივ ყველა, სრულად და კატეგორიულად არ გმობს მას, თუ ნაცნობის გამო შესაძლებელია დანამაშულისთვის ვინებ არ დაისაჯოს, ამას გრძნობენ მოზარდები და ეს აუცილებლად აისახება მათ ცნობიერებაში. სანამ ამას არ გავაცნობიერებთ და არ შევცვლით, მუდამ გვეყოლება დაღუპვის გზაზე მდგარი, „ქურდული გაგების“ მიმართ სიმპატით განხყობილი ბავშვები, რომლებიც განირულნი არიან მძიმე დანამაშულისთვის.

- თქვენი აზრით, რა როლი აკისრიის დღეს ეკლესიას ახალგაზრდების აღზრდასა თუ მათი ცნობიერების ფორმირებაში და რამდენად ასრულებს ამ ფუნქციას?
- პირდაპირ გატყვით, რომ დღეს ეკლესია ამ თუნებისას

— იარ-დაბათ გულეკია, იორ დღეს ქადაგისა თუ კუსტეცისა ვერ ასრულებს. გავლენა უშუალო კონტაქტის, სწავლისა და აღზრდის გარეშე შეუძლებელია! სად „ხვდება“ ეკლესია ბავშვებს? ნირვაზზ? საბავშვო ბალში? სკოლაში? — ასეთი ადგილი ძალიან (კოტაა).

საქართველოს სკოლებში გაუქმებულია  
რელიგიის სწავლება, რაც დღიდ შეცდომაა.  
გერმანიის დაწყებით სკოლებში თითქმის  
ყველგან სთავაზობენ ბავშვებს კათოლიკური  
ან პროტესტანტული ქრისტიანობის  
გაკვეთილებს. ძირითადად მოძღვრები  
ასწავლიან. დასწრება ნებაყოფლობითია —  
მშობლის თანხმობით. სხვა აღმსარებლობის  
ბავშვი ამ გაკვეთილებიდან თავისუფალია,  
ან ესწრება თავისი რელიგიის (თუ ეს  
შესაძლებელია) ან ეთიკის გაკვეთილებს. თუ  
ევროპის მონინავე სეკულარული გერმანია  
ასე იქცევა, ჩვენ რატომ გამოვაძევეთ  
რელიგია სკოლებიდან?

ეს არ ნიშნავს, რომ ყველას უნდა მიეცეთ უფლება რელიგიას ასწავლოს ბავშვებს. ამისთვის საგანგებოდ უნდა შეირჩეს განათლებული, ყოველგვარი ფანატიზმისგან და ფუნდამენტალიზმისგან თავისუფალი, რელიგიის სწორად მცოდნე შესაფერისი კადრები — საეროც და სასულიეროც. ეს ნამდვილად გამოიღებს კარგ შედეგს.

— ଲେଖସ ଉପର୍ମାଣୀ କୁରାଲ୍ଲଙ୍ଘରୀ ତୁ କୁରିତ୍ରିକୁ ଗ୍ରେସମିଳି କୁଣ୍ଡେ-  
ସିଲି ମିଳାରେ କୁରିତ୍ରିଲ୍ଲଙ୍ଘରୀ କୁଣ୍ଡେସିଲି ରେଜନ୍଱ରମିଳିର୍ଦ୍ଧା ସାଫିରା?  
— ଅନ୍ତର୍ରିମ ମିଳିତାନ ହାତ ରୂପନାମିଳିଥାଲୁ ବୁଝିରୀ ହାତ ମିଳି ଯାଏବା

— უფორ ძეგტად არა რეფორმებია საჭირო, არავედ ყველა ეკლესის მსახურის უკან მიბრუნება მთავარი ფუნქციისაკენ — განათლებისკენ, ანუ ქრისტეს მოძღვრების სწორად ქადაგებისკენ ერში. შემთხვევით არ ვახსენ სწორად ქადაგება და განათლება. უნდა დამთავრდეს ქრისტიანობის საკუთარი ინტერპრეტაცია და ეპისკოპოსების მიერ მკაცრ კონტროლს დაექვემდებაროს თუ რას ქადაგებენ და როგორ იქცევიან მოძღვრები მათ ეპარქიაში. ქრისტეს სახარების სინათლის სწორად შეტანა საზოგადოებაში, არის ჭეშმარიტი განათლება. ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესია მეცნიერებას და ცოდნას უარყოფს ან უმნიშვნელოდ თვლის. პირიქით. მაგრამ, თუ ვართ ქრისტიანები, უნდა გვაინტერესებდეს კიდეც, ვეძებდეთ, ვსწავლობდეთ და ვისმენდეთ, რას ნიშნავს ქრისტიანული გაებით სიცოცხლე, სიკვდილი, ჭეშმარიტება, სიყვარული, სიკეთე, თავმდაბლობა და ა.შ. ნაფიქრი და ქრისტიანულად გააზრებული უნდა გვქონდეს, რატომ არ შეიძლება მკვლელობა, შერი, მექრთამეობა, სიხარბე, ერთმანეთის სიძულვილი და მტრობა, მოჩვენებითი და გარეგნული ქრისტიანობა... ვინც დღეს ნდობა დაკარგა სასულიერო პირების მიმართ, თავადაც უნდა დაუფიქრდეს თავს — ეძებენ და აინტერესებთ კი ეს საკითხები? ეძებენ მათზე ქრისტიანულ პასუხს? სწყურიათ ამის ცოდნა თუ ეკლესისგან მხოლოდ რიტუალები აინტერესებთ? ამ კრიზისში უმეტესად სასულიერონი ვართ დამნაშავე, მაგრამ ერსაც მიუძღვის ბრალი სიზარმაცეში, ზედაპირ ულობასა და დაყუდევრობაში.

— ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა  
მარიხუანასა თუ სხვა ნარკოტიკული საშუალებების  
მოხმარებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საუბარი.  
მარიხუანას მოხმარება უკვე დეკრიმინაციულია.  
საზოგადოების ნაწილი იგივეს სხვა ნარკოტიკების მოხ-  
მარებაზეც მოითხოვს. შეიცავს თუ არა მნიშვნელოვან  
საფრთხეს ნარკოტიკების დეკრიმინაციზეპა?

მე-12 გვერდიდან

— არ ვარ ამ საკითხის ლრმად მცოდნე, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რაც გვესმის ბოლო წლებში, ვფიქრობ, რომ მარიხუანას დეკრიტიზაცია უმსახურება არა მის პოპულარიზაციას ან ლეგალიზაციას, არამედ მის მომხმარებელთა მიმართ არაა დეკრიტიზებული და გამანადგურებელი სასჯელის შეცვლას. მეც მგონია, რომ მარიხუანას მოწევისთვის არ შეიძლება წლობით გამოკეტო ადამიანი ციხეში, დაივიწყო მისი ადამიანური ლირსება, მომავალი, პროფესია, ოჯახი, ხანდახან შეიღები და ასე შეუბრალებლად გაანადგურო. ასეთი სასჯელი არც ქრისტიანულია და არც ადამიანური, ამიტომ მიმაჩრინა, რომ მარიხუანას დეკრიტიზაცია ცივილიზირებული საზოგადოებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

— ასე არ ფიქრობენ რიგი სასულიერო პირები. ამ საკითხის მიმართ ეკლესის პოზიციი როგორი უნდა იყოს?

— ცალსახაა, სასულიერო პირისთვისაც და ზოგადად, მომავალზე ორიენტირებული საზოგადოებისთვის, ნარკოტიკების გამოყენებაც, ლეგალიზაციაც და მითუმეტეს, ვაჭრობაც ცუდია, სახიფათო ქვეყნისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიშია. ხშირად ღვინოს და ალკოჰოლს ადარებენ და გვეუბნებიან, ღვინოს ხომ არ კრძალავს ეკლესიაო. ეკლესია ღვინოს არა, მაგრამ სიმთვრალეს კრძალავს და მას ცოდვას უზოდებს. ანუ, ღვინო მანამდეა სასარგებლო, სანამ ადამიანი დაოვრება. ესაა სხვაობა. ეკლესიას ნათელი, ფხიზელი გონება მიაჩნია სასარგებლოდ და არა გაბრუებული, არაა დეკრიტიზებული. როცა ეხედავ მარიხუანას დეკრიტიზაციის მომზრების სიმრავლეს, ერთი მხრივ ვეთანხმები ამ არაადამიანური სასჯელის გაუქმებას, მეორე მხრივ კა, ვფიქრობ, რომ სავარაუდოდ, მათი დიდი ნაწილი პოტენციალურად მარიხუანას მომხმარებელია. სწორედ ესაა დამაფიქრებელი. ალბათ ისეა დალლობის ხალხი მძიმე, აუტანელი რეალობით, რომ ეძებს განტვირთვას, გათავსუფლებას, შევძას. ესაა მტკიცნეული! ვფიქრობ, ეკლესიაც ამ კუთხით უნდა უყურებდეს ამ პრობლემას. ერთი ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ამბობს: არა ასაჭირო ადამიანებს ბერნიერების წესები ასწავლოთ, მიეცით მათ სიცოცხლის საშუალება და თავად გახდებან ბედნიერები. სახელმწიფოც, საზოგადოებაცა და ეკლესიაც, უნდა ეცადოს, ღირსეული სიცოცხლის, სწავლისა და შრომის საშუალება მიეცეს ხალხს და ბევრი პრობლემა გაქრება.

— საქართველოში მემარჯვენ ნაციონალისტური მოძრაობები მომზრავლდნენ, რომელებიც ქვეყანაში უცხოელების შემოსვლა-საქმიანობას აპროტესტებენ. ლოგიკურია ასეთი მძაფრი რეაქცია, მითუმეტეს, როცა უამრავი ქართველი ემიგრანტი ევროპაში ცხოვრობს და მუშაობს?

## "წარმომადგენლის თვალის" ყველაზე იხელ საფიტნება, საფიტნების ბაზი ძირი



— ეს დღევანდელი მსოფლიოს ტენდენციაა და შეუძლებელია მას სრულად აღუდეს ვინმე. მაშინ ციხესავით უნდა ჩაეიგეტოთ და ეს იქნება ჩვენი დასასრულიც. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ მეცაცრად აკონტროლოს საზღვრები და უცხოეთის მოქალაქეების საქმიანობა. გერმანიის მთავრობა არ მოგცემს მუდმივი (ცხოვრების უფლებას, თუ გარკვეული წლები არ იცხოვრება) და იმუშავე გერმანიაში, თუ არ ჩაბარებენ გერმანული ენის გამოცდა და გერმანიის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების და ისტორიის ტესტი. ყველა ქვეყანაში მემარჯვენ ნაციონალისტური ძალები სარგებლობენ ხელისუფლების შეც-

დომებით და სისუსტით. ამით აღწევენ დროებით წარმატებას, თუმცა ისინი, დესტრუქციულნი არიან, ვერასოდეს შეძლებენ უკეთესის აშენებას და ამიტომ სახიფათოა მათი ნდობა. საპირობის პირობების მიერთებული მეცნიერებების პატივით უნდა ვცეოთ ჩვენ სახელმწიფოს როგორც უმაღლეს ამქვეყნიურ ინსტანციას, რომელიც არავის ეკუთვნის პიროვნულად, მუდმივ უნდა ვცდილობდეთ, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები გაძლიერდეს, განმტკიცდეს, კონტროლის მექანიზმი არ შესუსტდეს და ყველა მოქალაქეის თუ ჩამოსულის ცნობიერებაში სახელმწიფო და მისი ნესრიგი განვითარებული და პატივსაცემი.

## დაღუაული საესრაზებულის რჯახს ბინა გადასცას



ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეციალისტური დროის დალუპული სპეციალისტური ბინა თანამშრომლის ივანე გოლაშვილის ოჯახს საცხოვრებელი ბინა გადაეცა.

ნაძალადევის რაიონში მდებარე კეთილმოწყობილი, საჭირო ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვილი ბინა ივანე გოლაშვილის ოჯახს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, ვახტანგ გომელაურმა პირადად გადასცა და ბარბარობის დღესასწაული მიულოცა. საცხოვრებელი ბინა ფონდმა „ქართუმ“ შეიძინა.

გარდაცვლილი სპეციაზმელის ოჯახს სახელმწიფო ერთჯერადად 100 000 ლარით დაეხმარა, ხოლო ყოველთვიურად — 1000 ლარი გადაეცემა.

